რეცენზია

თოლია

დავით სოლომნიშვილი
სტუ-ს პროფესორი

არკადინა - მაია ცეცხლაძე, ტრეპლევი - მამუკა მანჯგალიძე,- სორინი-ზაალ გოგუაძე. ზარეჩნია - ანო ზურაშვილი, შამრაევი - ზაზა ზოიძე, პოლინა - ქეთევან ეგუტიძე, მაშა - ანანო იაშვილი, ტრიგორინი - დავით ჯაყელი, დორნი - ტიტე კომახიძე, მედვედენკო - ლაშა კონცელიძე, იაკობი - გიორგი ყურავა, უცნაური კაცი - კახა კობალაძე.

ანტონ ჩეხოვის თოლია „გმირები ოცნებობენ, ღელავენ, განიცდიან, ფიქრობენ, იბრძვიან მიზნის მისაღწევად, რეალურ ცხოვრებაში ადგილის მოსაძებნად ისეთებად, როგორებიც ისინი არიან, მიიქციონ საზოგადოების ყურადღება. დრამატურგი ხაზგასმულად აღნიშნავს ადამიანის სოციუმში მოქმედების არეალს; ღარიბი თუ მდიდარი, ფულიანი თუ უფულო, იღბლიანი თუ უიღბლო. რა ჯობია ქონება თუ არქონება, ღარიბი მდიდარია სიღარიბით. ნინა ზარეჩნაია თავის ირგვლივ იკრებს ყველას და ყველაფერს, ოცნებობს გადაწყვეტილებებს იღებს, არტისტობა სურს, მიზანსაც აღწევს. შეყვარებულია. მსახიობები სწორად ყოველი პერსონაჟის დამახასიათებელ თვისებებს, თამაშობენ ჩეხოვისეულ რეალობას, რომელიც განპირობებულია ფსიქოლოგიური ქმედებით, სადაც ერთმანეთს ენაცვლება გაცნობილი და ამოუცნობი ფსიქოლოგიური პლასტები. ყოველი მათგანი ცდილობს გაამართლოს თავისი ამქვეყნიური არსებობა, თუნდაც ის იყოს უკიდურესად ღატაკი. თუმცა ყველამ იცის, რომ სიცოცხლე წამია წუთით აღვსილი, მაგრამ მაინც იბრძვიან დასახული მიზნისათვის, ზოგი სიცოცხლისათვის, ზოგი თავის გადაჩენისათვის, ზოგიც ფუფუნებაზე ოცნებობს. ჩეხოვის გმირები საოცრად განათლებულნი არიან, იმდენად, რომ საკუთარ პროზაულ ნაწარმოებებსაც ქმნიან. კითხულობენ აანალიზებენ, მსჯელობენ საკუთარ თავთან თუ საზოგადოებასთან, ოჯახის წევრებთან. უყვართ, აღიზიანებთ, ორჭოფობენ არკადინიც, სორინიც, მაშაც, დორნიც, იაკობიც. არ სურთ სოფლად ცხოვრება. მატარებლით მიემგზავრებიან, ქალაქად წასასვლელად ეზადებიან. როგორც ჩანს ახალი ცხოვრების დაწყება სურთ, ახალ გარემოში. ნინა ზარეჩნაია პრემიერას თამაშობს, გახარებულია წარმატებით საჩუქრად თოლიასაც იღებს, თეთრ თოლიას. მათი ღირსება - „პიროვნული მე“ „მთავარი მამოძრავებელი ძალაა ცხოვრებასთან ჭიდილში და ეს მშფოთვარე სამყარო ერთ მშვენიერ დღეს ინგრევა, ყველაფერი ჩუმდება, ირინდება და ამ გაჩუმებულ სამყაროში თოლია, თოლიას გმირები უბრუნდებიან ჩვეული ცხოვრების რიტმს.

რეჟისორმა ანდრო ენუქიძემ ფრიად ორიგინალური სპექტაკლი შემოგვთავაზა თავისი რეჟისორული მიგნებებით. მსახიობების პარტერიდან შემოსვლა სცენაზე ნიშნავს იმას, რომ რეჟისორი მაყურებელს აახლოვებს სცენასთან. დედა-შვილის ირინას და მისი შვილის დიალოგი მძაფრი, უკომპრომისო, რომელიც დედა-შვილური სითბოთი მთავრდება. თითოეული სცენა დახვეწილია, ტრაგიკული დრამატული ფარსი, რომლის მწარე რეალობა ირიალური ფერებითაა ნაამბობი.

სპექტაკლში ყურადსაღებია არტისტთა მეტყველების კულტურა. ხმა, რაც დღეს ძალზედ იშვიათია. გამოვყოფდი პერსონაჟ ირინას სასცენო მეტყველებას. მაღალი გემოვნების პირდაპირი გამოხატულებაა მხატვარ გოგლა გოგიბერიძის დეკორაცია, სადაც ლაღად ცხოვრობენ პიესის პერსონაჟები, რომელიც „თეატრი თეატრში“ პრინციპითაა აგებული. ქორეოგრაფმა კოტე ფურცელაძემ და მხატვარმა გოგლა გოგიბერიძემ სწორად და ზუსტად იგრძნეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცხოვრების სტილი. ვალსის რიტმებმა უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა ადამიანთა ყოფიერების და ცნობიერების სინთეზური ბუნება, ჩაცმულობის სტილი. გამომსახველობითია სპექტაკლის ბოლო აკორდი. პიესის ერთ-ერთი გმირი მაყურებელს ესაუბრება თეატრის მომავალზეც, სახელდობრ, თანამდროვე თეატრის აუცილებლობაზე, სადაც გაიჟღერა ანტონ ჩეხოვის თეატრალურმა ნაზრევმა. სპექტაკლის ბოლო ეპიზოდი ამთლიანებს სპექტაკლის პარტიტურას.

საპრემიერო სპექტაკლი, რომელიც გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე 2022 წლის 1 ოქტომბერს გათამაშდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის რეპერტუარის კუთნილებაა.